# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

რუსის მეიდანზე, შუა-ბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ ... თინსკის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

...ღებს „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში. გარე მხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ ре[дакцiи] Дроэба“-„Иверiи“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
| --- | --- | --- | --- |
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი, „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 აგვისტოდამ წლის დამლევამდის

**დროება**

ღირს ოთხი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი

---

მომავალი წლის პირველი იანვრიდამ გამოვა ქართული ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი

**„მიმოხილვა“**

პროგრამმა ამ ჟურნალისა: ბელლეტრისტიკა, ისტორია, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, შინაური მიმოხილვა და პოლიტიკა.

გამოვა თვეში-ერთხელ შვიდი თაბახიდამ ათამდის.

ფასი ჟურნალისა წელიწადში რვა მანეთი; ნახევარ წლისა ოთხი-და-ათი შაური.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში ჩარკვიანისა და ამხ[ანაგ]ის წიგნის მაღაზიაში და არწრუნის ქარვასლაში ბიბლიოთეკა №145

გარეშე ხელის-მომწერნი მომართვენ რედაქციას ამ ადრესით: Въ Тифлисъ, книжный магазинъ Чарквiани.

რედაქტორი ნინა გაბაშვილი.

(6—1)

# ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურლი**, 20 აგვისტოს. „მმართებლობის მოამბე“ გვაცნობებს: ბარონ ველიო დაინიშნა სახელმწიფო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად. დღეს ღამის ორს საათზე ოლქის სასამართლომ საფუძვლიანად მიიღო ნაფიცთ მოსამართლეთა განაჩენი, რომელთაც დამნაშავეთ იცნეს ვერაგობასა და ფლანგვაში ყოფილი ნაფიცი დამცველი ევგენი კორში და იცნო რა იგი ღირსად გარდასწყვიტა: ჩამოერთვას მას ქონებათა უფლება და გაიგზავნოს ტომსკის გუბერნიაში.

**ქვეტტა**, 20 აგვისტოს. რობერტსი მივიდა გუშინ ყანდაარში. ეიუბ-ხანმა შაეჩერა შერიგებაზე მოლაპარაკების დაწყება. დენერალ ფეიერმა მთელი სამხედრო ძალით გამოიწია, რადგანც ჰფიქრობენ, რომ მას ომი მოუხდება ტარტიპულემთანო.

## მტკვარში ბანაობაზედ

ტფილისი, 21 აგვისტოს.

ძვირა ისე არ გაივლის, რომ ჩვენს ოფიციალურს გაზეთს „კავკაზში,“ ორჯერ თუ არა, ერთხელ მაინც რომ არ ამოვიკითხოთ პოლიციის განცხადება, რომ გუშინ ამა-და-ამ ალაგას მტკვარში ესა-და-ეს კაცი ან ყმაწვილი ბანაობდაო, უეცრად მოიტაცა წყალმა და დაიღრჩოვო.

ამ ნაირად, რომ ვიანგარიშოთ, მუდამ ზაფხულს მტკვარს უკანასკნელი ოცი და მეტი ადამიანის სული ეძლევა ხოლმე მსხვერპლად.

საშინელის სიცხისაგან შეწუხებული ქალაქის ხალხი აგარებში და სოფლებში წასვლას ვერ ახერხებს; ჩრდილოვანი, გრილი ბაღები იმას არა აქვს, ერთი საბრალო ბაღია, ჩვენი პოლიცია იმაშიაც არ უშვებს ღარიბად ჩაცმულებს; ამის გამო მხოლოთ ერთი საშუალებაღა დარჩენია გასაგრილებლად და გახურებულ გულის მოსაბრუნებლად: მტკვარში იბანაოს. მაგრამ აქაც ხშირად ისეთი საქმე ემართება, რომ სამუდამოთ განთავისუფლდება გაგრილებისა და გახურებისგანაც...

საბანაო ორია მხოლოთ ჩვენს ქალაქში; მაგრამ ღარიბ ხალხს მუდამ დილა-საღამოს ორ-ორი შაურისა და თითო აბაზის მიცემა არ შეუძლიან, რომ ამ საბანოებში იბანაოს და ამ ნაირად წყლის საფთხეს გადარჩეს.

სხვა ქალაქებში არავის არა აქვს უფლება, რომ ქალაქის წრეში გაიხადოს წყლის პირას ტანისამოსი და იბანაოს; იქ იმფი, თითო-ოროლ კაპეიკიანი საბანაოებია გამართული და ყველას, რაც უნდა ღარიბი იყოს, თქვეში ექვსი-ათი შაური შეუძლიან დახარჯოს საბანაოდ.

ჩვენში კი ღარიბმა კაცმა თვეში სამი-ხუთი მანეთი უნდა აძლიოს, თუ მუდამ დღეში მოინდომა საბანაოში სიარული. ამის შეძლება არა აქვს და ამიტომ ის პირ-და-პირ მტკვარში ბანაობს.

მტკვარში ბანაობა, რასაკვირველია, არ უნდა ჰქონდეს დაშლილი, აღკრძალული ქალაქის ხალხს. მაგრამ განა არ შეიძლება მოინახოს ისეთი ღონისძიება, რომ ამ ბანაობიდამ არავითარი უბედურება არ ხდებოდეს და ასე ხშირად არ იღრჩობოდეს ხალხი? ძალიან ადვილად შეიძლება, თუ კი ვისიც რიგია მოინდომებენ. მოგვყავს ერთი ყველაზედ უბრალო და ადვილად შესასრულებელი ღონის-ძიება:

ამ რამდენიმე წლის წინათ, დიდის ამბითა და სიხარულით აკურთხეს ერთი ნავი, რომელსაც „დამღრჩობთა მხსნელ ნავს“ ეძახოდნენ; აკურთხეს კიდევ ერთი რაღაც თოკზე მობმული რგოლი; ამ „მხსნელ ნავისა“ და რგოლის დანიშნულება ის იყო, რომ, როცა ვინმე იღრჩობოდა, ჩაეშვათ წყალში და ამათი შემწეობით დაექირაოთ, დაეხსნათ.

არც ამ ნავზე და არც ამ რგოლზე თითქმის სრულიად არა ისმის-რა. არც გაგვიგონია, არც გვინახავს და არც წაგვიკითხავს, რომ ან ამ ნავსა და ან ამ რგოლს ვინმე დაეხსნას დაღრჩობისაგან.

ორი ამისთანა „მხსნელი ნავი და რგოლები“ რომ იყოს მუდამ გაჩერებული იმ ადგილებთან, სადაც ხალხი ბანაობს; ამას გარდა რამდენიმე პოლიციის მოხელე რომ თვალ ყურს ადევნებდნენ მობანავეთ, უეჭველია, რომ მაშინ ისე ხშირად აღარ მოხდებოდა ის უბედური შემთხვევები, რომელიც ახლა ხდება ხოლმე.

ჩვენის აზრით, ჩვენი პოლიცია იმის მაგიერად, რომ ალექსანდროვის

# ფელტონი

—

## მოხევეები და იმათი ცხოვრება*)

X

მთის ხალხს საზოგადოთ უყვარს სიმღერა და მრავალს იმათგანს ჩინებული ხმა და ყურთა სმენა აქვთ.

სახალხო სიმღერებში ყველაზედ გავრცელებული არის—„დიდება“. ამ სიმღერას რაღაცა ღვთიური მნიშვნელობა აქვს და იტყვიან ხოლმე, როდესაც ხატებს გამოასვენებენ.

„ო დიდება და ღმერთსა ვადიდებ და,
„დიდება, ჰა! და სპარს ანგელოზსა!..“

ამას ამბობენ ორ-პირად და ყველა ხატების სახელებს ახსენებენ. ფერხულშიაც ისევე ეს სიმღერა არის, მხოლოთ ლექსები კი სხვა, რომლებშიაც ყველაზედ მიღებული ძველებური სიმღერა არის:

„არ გეჯერებით, ქართველნო!
„შეგვეხსნა რკინის კარიო?
„აღარ გვყავს მეფე ერეკლე
„ბაგრატიონთა გვარიო!...“

ამ „დიდების“ გარდა კიდევ გავრცელებულია „ზოგონა“, რომელსაც ცოტა უფრო სხვა რიგათა მღერობენ, სანამ ქართლში, მხოლოთ ერთი მოსთქვამს, მეორე ეხმარება და სხვები კი ბანს ეუბნებიან; ხევში კი ორნი რიგ რიგით ამბობენ და სიმღერაში ეშაირებიან ერთმანეთს.

არის კიდევ „ზერგეტულა“, რომელიც ძალიან მუზიკალურის და დამშვიდებულის ხმით დაიწყობა და თან და თან აუჩქარებენ; ბოლოს ისეთ ნაირად აჩქარდებიან, რომ სიტყვებს ძლივსღა ასწრობენ. ამ დროს მომღერლები წრეს შეადგენენ, სარტყლებში ხელს ჩაუგდებენ ერთმანერთს და სანამ დამშვიდებული სიმღერა არის დამშვიდებული დგანან, მერმე წყნარა შეინძრევიან და რამდენათაც სიტყვების წარმოთქმას მოუჩქარებენ, ისინიც ხტუნაობით ტრიალს აუჩქარებენ და ბოლოს სწორეთ თავ დავიწყებამდისინ მიდიან. ამ თამაშობაში ისე დაიქანცებიან, რომ არაქათი აღარა აქვსთ ხოლმე და რამოდენიმე ხანი დასვენებას უნდებიან, სანამ შეიძლებენ ან სიარულს და ან ლაპარაკს.

ამას გარდა არის კიდევ ერთი განსხვავებითი ფერხული, რომელშიაც ერთი პირობა ძირს დაბამს ფერხულს და მეორე კი მხრებზედ შეადგებიან და ისე მღერიან. ამ სიმღერას ჰქვიან „ბარბარე“ და ხმა ცოტათი მიემზგავსება: „მუმლი მუხას“ ხმას. ხევში არის კიდევ განსხვავებული „ნამგლური“ და კიდევ, რამდენიმე მთაშივე მოგონილი ხმები, რომელიც საქართველოს სხვა მხარეებში არ გამიგონია....

ხევში მიღებულია საზოგადოთ ქართული და იმერული ხმები, მაგრამ გადასხვაფერებული. არა იშვიათად იციან ფანდურზედ ლექსის დაძახილი, რომელშიაც ან ვისმე ვაჟკაცობასაქებენ სამასხაროთაც ჰყავსთ გახდილი ვისმე მდგომარეობა და მოქმედება. უფრო ხშირად კი აქა-იქა „ვეფხვის-ტყაოსნიდგან“ მოგლეჯილს და გადასხვაფერებულს სიტყვებს დამღერენ. მაგალითად:

…„როსტომ თქვა: მიწა გრილია,
სიტყვას მით უნდა რბილობა,
ვაჟკაცს რომ გაუჭირდება,
მაშინ ის უნდა ცდილობა...
როსტომ თქვა: ერთი არა სჯობს,
ამ ჩემსა მოგონებასა,
ერთხელ სჯობია სიკვდილი
სულ მუდამ დაღონებასა...“.. და სხვ.

---

*) იხილე № 174 „დროებისა“.

ბაღის კარებთან თავის მოხელეებს აყენებდეს და ღარიბად ჩაცმულებს არ უშვებდეს, ისა სჯობიან, რომ ამ თავის მოხელეებს მტკვრის ნაპირებზედ დააყენებდეს და გამართავდეს ამ ნავებსა და რგოლებს, რომელიც მართლა საჭიროა და ნამდვილ სარგებლობას მოუტანს ხალხს.

## ახალი ამბები

—

მოგეხსენებათ, რომ რუსის კანონის ძალით, როდესაც ხარჯს-მხდელი წოდების (გლეხის შვილთაგანი) ვინმე მოისურვებს საშვალო ანუ უმაღლესს სასწავლებელში შესვლას, უეჭველად უნდა ჰქონდეს თავის საზოგადოების მოწმობა, რომ ის (საზოგადოება) ანთავისუფლებს იმას სახელმწიფო ხარჯიდგან და იმის მაგიერად ამ ხარჯის გარდახდას თვითონ ჰკისრულობს. რუსულ გაზეთებში იწერებიან ახლა, რომ მთავრობას განზრახვა აქვს ამ კანონის მოსპობისა, ე. ი. დღეის შემდეგ ამ გვარი მოწმობა არავის აღარ მოეთხოვებაო.

***

გაზ. „ბაქოს ცნობებში" დაბეჭდილია შენიშვნა კავკასიის მომავალ უნივერსიტეტის შესახებ. ავტორი თანაგრძნობით იხსენიებს იმ თანაგრძნობასა და მატერიალურ შემწეობას, რომელიც ტფილისისა და ქუთაისის საზოგადოებამ აღმოუჩინა ამ საქვეყნო საქმეს და ამასთანავე სრულ იმედს აცხადებს, რომ ამგვარსავე თანაგრძნობასა და შემწეობას აღმოუჩენენო და მთავრობას დაეხმარებიანო კავკასიის მხრის სხვა ქალაქებიც, მაგ. ბაქო, ერევანი და სხვ. და აგრეთვე ბევრი კერძო პირებიცაო.

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ს. ზ. მუხრანსკისაგან თ. ესტატე მუხრანსკი ამ ჟამად უკეთ არისო და ექიმებს იმის მორჩენის იმედიც აქვსთო. ზურგიდამ რამდენიმე საფანტი ამოუღიათ და აგრეთვე ერთი რევოლვერის ტყვია თავიდამ.

***

ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ არისტიდი ეფენდი ეკიადერი ფოთის ოსმალოს კონსულად იცნო ჩვენმა მთავრობამ.

***

ტფილისის წმ. ნინოს ზავედენიის მთავრობა აცხადებს, რომ ეგზამენები და ხელ-მეორე ეგზამენები ამ სასწავლებელში ენკენისთვის პირველს დაიწყება; სწავლაკი 4 ენკენისთვიდამ.

***

ზურიიდამ ვვატყობინებენ, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ იქ მოუკლავთ ერთი ვიღაც თაყაიშვილი. აი როგორი ყოფილა ამ უბედური შემთხვევის გარემოება: ორი-სამი თვის წინათ თაყაიშვილს უთხოვნია ცოლი; სიმამრს მიუცია იმისთვის მზითევში 800 მან. და ამას გარდა 800 მანეთის ვექსილი. ჯვარის დაწერის შემდეგ, სიძეს ეთხოვნა ამ ვექსილით ფული. სიმამრს ეთქვა: ახლა არა მაქვსო, რომ მოვკვდები, ხო იცი, ყველაფერი შენ დაგრჩება, ნუ მაწუხებო. სიძეს არ დაეჯერებინა, ეჩივლა, ფურცელი აელო, აეწერა სიმამრის სახლ-კარი, გამოეყარა იქიდამ ყველა და თვითონ გადაბარგულიყო. მაგრამ იმ ღამეს, რა ღამესაც ის გადასულიყო სიმამრის სახლში, დასცემოდა ვიღაც თავს და მოეკლა.

მოკლულის თაყაიშვილის სიმამრი დაჭერილია.

***

ბაქოდამ იწერებიან გაზ. „კავკაზში", რომ გავლილის თვის დასაწყისს სპარსეთიდამ დიდ-ძალი კალია გადმოფრენილა ჩვენს სამზღვარზე, სახელდობრ მუღანის მინდორში და ლენკორანისა და სალიანის მაზრებში. ამ კალიას ზოგან, მაგ. მილის მინდორში, მდ. არაქსის ნაპირებზე და აგრეთვე ზანგის გუბერნიაში ბევრ ალაგას კვერცხი დაუდვია.

***

ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ გავლილ პარასკევს სოფ. რიონის მახლობლად ერთ ვიღაც მელაძეს მოუკლავს ერთი ური და როცა იმის გაცარცვას აპირებდა, ამ დროს ცხენოსნები წამოეწივნენ და გაიქცა. მეორე თუ მესამე დღეს ეს კაცის-მკვლელი დაიჭირეს, როდესაც წყლის პირზე დამდგარიყო და ხანჯალს რეცხდაო. ამ საქმის გამოძიება გამომძიებელს ბერსს აქვს მინდობილიო.

***

ამ დღეებში ჩვენს ქალაქში დაბრუნდა თეირანიდამ იქაურ რუსის საელჩოსთან მყოფი ქართველი მღვდელი, რომელმანც სხვათა შორის, ილაპარაკა, რომ იმან ნახა სპარსეთში დასახლებული ქართველები; სულ ხუთი სოფელი არისო, ქართული თითქმის ყველამ კარგათ იცისო, ბევრი ქრისტიანული და ქართული წესები და ჩვეულებები დღემდინ აქვსთ დაცულიო. როცა მნახეს, ძალიან იამათო, ეგონათ თუ იმათ დასახსნელად მივედიო.

ამ რამდენიმე წლის წინათ იმათ განზრახვა ჰქონდათ, ქაღალდი მიეცათ სპარსეთის მთავრობისათვის და ეთხოვნათ საქართველოში დაბრუნების ნებართვა. მაგრამ ვიღაცას დაეფრთხო, თუ ეგ ითხოვეთ, შაჰი ყველას თავს გაგაგდებინებთო,—და ამის გამო ეს განზრახვა მიეტოვებინათ.

***

ზუგდიდის მაზრის სოფ. ქვალონიდამ გვწერენ:

„საწყალ გლეხს ჩვენს სოფელში არასფრის გზით ცხოვრება არ შეუძლია: ცხენი გაზარდა, მოჰპარეს, კამეჩი გაზარდა, მოჰპარეს, მაშ რა უნდა ქნას საწყალმა გლეხმან, რით უნდა იცხოვროს? არც ერთი სოფელი ზუგდიდის მაზრისა ქვალონსავით არ არის ქებული ამ ცუდ უსინიდისო მოქმედებითა, მე არ ვგონებ, რომ ჩვენს სიცოცხლეში ქვალონში ქურდობა მოისპოს. რას იქ კაცი?! რომ რამე თქვა ამ ცუდ მოქმედებაზედ, იმ ღამეს ქურდებს ვერ გადაურჩება[illegible]ლის მეტს არაფერს შეგარჩენენ.

„ქვალონზე დიდი ხანია შემდეგი ანდაზაა გამოთქმული: „უბედურ კაცს ქვალონში დაალამდებაო". საზარელი შესახედავი და სასმენი არის საწყალი გლეხების მდგომარეობა ნამეტურ დღესასწაულების წინ დღით, როცა მოპარული პირუტყვების პატრონები ტირილით და ბღავილით მირბიან მათთან ვისზედაც ეჭვი აქვთ ეს იქნება ჩვენი გამქურდველიო. ქურდებს, რასაკვირველია, პირუტყვი ერთი სამი დღე ჰყავს ტყეში დამალული, სანამ პატრონი მოაკითხავდეს და კარგ სასყიდელს მისცემდეს. თუ არა და გამოეთხოვოს, მერე მოპარულის ძვალსა და რბილს ვერ ნახავს".

—⊖⊖—

რადგანაც ამ უკანასკნელ დროს ბევრი ლაპარაკია ჩვენს სამღვდელოებაზედ, იმის უფლებაზედ და მოვალეობაზედ, ამის გამო უინტერესო არ იქნება მოყვანა ამ ძველის დოკუმენტისა, რ.მელიც ერთმა საპატიო პირმა გადმოგვცა გაზეთში დასაბეჭდათ:

რედ.

—

ღენერალ ფელდმარშლისა უპირველეს გამრიგისა სამხედროისა, უპირატეს მმართველისა საქართველოისა და ყოვლისა რუსეთისა ორდენთა კავალერისა

უზენაესს საქართველოს მმართებლობის აღმასრულებელს ექსპედიციასა.

**წინადადება**

მივწერე საქართველოს კათოლიკოზს ანტონის უმაღლესის ნებისათვის მისის იმპერატორების დიდებულებისა, რათამცა საქართველოსა შინა ერნი სამღვდელოთანი დღეიდამ ყოველთვის იყვნენ თავისუფალნი, ყმობიდამ, გამოსაღებიდამ და ბეგარისაგან, რომელიც გამოურთმევიათ აქამომდე მებატონეთა მღვდელთა და დიაკვანთაგან, ღადებული მებატონე-...

---

სიმღერაში ისეთი სიტყვებია მოყვანილი, რომელიც ვრცლად გამოხატავს მოხევების ხასიათს და გულ მოძრავს აზრს.

დამღერის მეფანდურე მთვარიან ღამეს; იმის ხმაში მოისმის რაღაც შემაძრწუნებელი მიმზიდველი მღელვარება და იქვე მისხდომილი ჯგუფად ბიჭები ხმა გაკმენდით ყურს უგდებენ. ისეთი სიჩუმეა, რომ ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებთ და აშკარათ დაინახავთ, რომ ეს სიტყვები ყველას უგრძვნია; პირის სახეზედ ატყობთ რაღაცა მღელვარებას, რომელსაც ვინ იცის, სად გაუტაცნია, ამ სიცოცხლით სავსე ხალხის აზროვნობა.... ვინ იცის, რომელი დაფარული იარები აუშლია იმათთვის!... ყველას ყურში ერთი და იგივე ხმა გასწივის და ეს ხმა არის ხმა ფანდურისა:

„ერთხელ სჯობია სიკვდილი,
სულ მუდამ დაღონებასა."

ახლა ორიოდე სიტყვა იმაზედაც ვსთქვა—თუ რა უფრო ეჭირება ეხლანდელს მოხევეს და რომელს საქმეში და რა რიგათ ითხოვენ მოხევები თავიანთ მოძმე ქართველებისაგან შემწეობას.

მთელს დუშეთის მაზრაში ორი სასოფლო შკოლა არ მოიპოვება და იმათი მართველები კი, ვისაც უნდა ეზრუნვა ამ საქმისათვის, ბევრს თავს არ იტკიებენ, ჩვეულებისამებრ უმოქმედობაში და განსვენებაში იმყოფებიან. არ ვიცი—რასა ჰფიქრობენ შკოლებზედ სხვაგან, მაგრამ რაც-კი შეეხება მოხევეებს, მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი დიდის სიამოვნებით გახსნიდნენ შკოლებს და აქ საგანზედ არა მცირედი ლაპარაკიცა ჰქონიათ. იმათთვის შკოლის გახსნა და კომლზედ მანეთის-ორიმანეთის შეტანა არც ძნელია და სიამოვნებითაც შეიტანდნენ; მაგრამ არ იციან როგორ მოიქცნენ. რომ ფულის შეტანა არ არის ძნელი იმათთვის ეგ მტკიცდება იქიდგან, რომ იმათ ყოველ მინუტს თავის კარ-წინ შეუძლიათ სამუშაოს შოვნა, ნაღდ ფულზედ და მაშასადამე ამ მხრით დაბრკოლება არ იქნება. რაც შეეხება სურვილს, იმაზედ მე შემიძლიან მოგახსენოთ, რომ ისინი დიდი გულ-მოდგინენი არიან ამ საგნის აღსრულებაში მოყვანისა.

მაშ რაღა აბრკოლებს? მოგახსენებთ: მოხევეები თითონ გაუნათლებელი ხალხი გახლავან, რომელთაც ვერ გაუგიათ სად როგორ უნდა მოიქცნენ და სად და ვის მიმართონ თავიანთი სურვილი. განათლებულ ხალხთაგანი ისეთი მოთავური არა-ვინა ჰყავთ, რომელთაც გზა უჩვენონ. მართველი, მამასახლისები და სხვები თავიანთ ჯიბის გახდას და დუქნებში არაყის სმას უნდებიან, თორემ ერთი მოთავე მზის მაჩვენებელი რომ ჰყოლოდათ, მე დარწმუნებული ვარ, იქ ერთის წელიწადის განმავლობაში სამი შკოლა მაინც გაიმართებოდა და რომ ეს შკოლები უნაყოფო არ დარჩებოდა, ამის თავდებად მოხევების ნიჭიერება დაგიდგებოდათ.

ყველა დარჩენილის ცუდი ჩვეულების საძიკველიანათ ამოგდება მხოლოთ შკოლებს და განათლებას შეუძლიან და სხვა არაფერს. ყოველი განჩინების დადგენა, ყოველი ხალხის გადაწყვეტილება შესაწირავების შემცირებაზედ, ურვათებზედ და ქვრივის გათხოვებაზედ და სხვა მავნებელ ჩვეულების და ცრუ-რწმუნების მოსპობაზედ უნაყოფოდ, ამაოდ დარჩება ხევში, სანამ ხალხი არ იგრძნობს და აშკარად არ დაინახამს განათლების შემწეობით იმათ სისაძაგლეს.

მეტს აღარ ვილაპარაკებ შკოლების სარგებლობაზედ, რადგანაც ყველას საკმაოთ ნაგრძნობი აქვს ეს საჭირო-

თაგან თავიანთ ყმათა ზედა უწინდელის ჩვეულებისამებრ, და რომელ ჭეშმარიტსა ჰაზრსა შინა ამ უმაღლესისა ბრძანებისა განთავისუფლდებიან ყმობისა ამისაგან მხოლოდ მარტო მებატონეთ მღვდელნი და დიაკვანნი ესე იგი ნაკურთხნი. შემდგომად, თუმცა თავადთა და აზნაურთათვის ეგრეთვე მიცემულ არს ნება. ბრძანებად ყმათა თვისთა შესვლად სამღვდელოს წოდებასა შინა, მაგრამ ასე იცოდნენ ამას იქით ყოველი მებატონის ყმა თავისის ბატონის ნებით შესული სამღვდელოს წოდებასა შინა განთავისუფლდების ყმობიდამ ყოვლითა თავის სახლობითა...

სხვებრ, აწ განთავისუფლებულთათვის, რომელთაც პირველ მებატონეთ უბოძებიათ სახლი, მიწა, ანუ ვენახი, და რაცხდნენ ვითარ ესენი ეგრეთვე თვით სამღვდელონი ფვისად შესახვედრად, აწ ძალ-უძსთ გაშვებად მათთვის ეგეოდენი მარტო მიწა, და ვენახი რაოდენიც საჭირო არს ეკკლესიის შესანახავათ და გაუჭირვებლად მღვდელთ ცხოვრებისათვის. და ნამეტოვანისა მიწისა, ბაღისა, ანუ სახლისათვის, მიცემული მებატონეთაგან ერთ სამღვდელოთათვის, მაშინ როდესაც ჰყოლიათ ეგრეთი როგორათაც თავიანთი ყმანი, მიეცემის ნება მებატონეთა, რომელ შეიკრან თხოვების პირობითა, ყმობიდამ განთავისუფლებულთ მღვდელთა და დიაკვანთათანა, და ესრეთ ეთანხმაონ მათთანა მიცემასა შინა მიწისასა, ანუ ბაღისა, და სახლისა, სასარგებლოდ ეკკლესიისა, და საცხოვრებელად მღვდელთა, რომელნიც იქმნების დამოკიდებულ კეთილ-წადიერებისაგან მებატონეთა.

ბარნა ამა ყოველთა თანა საჭირო არს რათამცა მიცემა ესე კანონით განწესებულზედ არ იყოს ნაკლები.

უზენაესს საქართველოს მმართებელობის აღმასრულებელს ექსპედიციას წინადაუდებ: საცნობელად ყოვლისა ამისა, საქართველოსა შინა ყოველსა ადგილსა ჰქნას პუბლიკაცია, ჩაწერითა მას შინა კანონნი სახელდობ რაოდენობისათვის მამულისა, რომლითაც უნდა ჰქონდესთ სოფლებში სამღვდელოთა.

ნამდვილსა ზედა ხელმოწერილ არს.

გრაფ ი. გუდოვიჩ.

№ 835.

აგვისტოს 23-სა
1808 წ.
ლაგერში წოფის-წყალზ დ.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ხონი, 17 აგვისტოს.** გუშინ საღამოს აქაურ ვაჟების სკოლაში წარმოადგინეს ხონის ქალების სკოლის სასარგებლოთ თ. რაფ. ერისთვის პიესა „ბიძიასთან გამოხუმრება“ და ალ. ჭიჭინაძის ცვლილებით ნათარგმნი სამ-მოქმედებიანი კომედია „ფერი ფერს, მადლი ღმერთს!“

ზალა სავსე იყო მაყურებლებით; ხარჯის გარდა, თუთხმეტ თუმნამდის უნდა დარჩენოდათ.

მოთამაშეები ყველანი გარდა ქ. მესხისა და მ. ნათაძისა, ჯერ არ ყოფილან სცენაზედ; მაგრამ ისრე კარგათ წავიდა ორივე პიესა, რომ ხალხი აღტაცებაში მოვიდა და დიდი მადლობა შესწირა წარმომადგენლებს. იორამის როლს თამაშობდა მასწავლებელი ხონის სასწავლებლისა ბ. მ. ნათაძე; მართლაც ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა იმის სცენაზედ გამოსვლამ, რომ ხალხი განცვიფრებით შესცქეროდა იმის ტანჯვას, როცა დის-წულის სახლში ყვიროდა „მშიანო, დაღალული ვარო“ და სხვ. თამაშობდა ეგრეთვე ნიჭიერად კ-ნა პელაგია წულუკიძისა, თუმცა კარგათ არ იცოდა თავისი როლი. ალ. ნათაძემ კარგათ აასრულა ხინჩლას როლი; სანდროს და ზარაფის როლს თამაშობდა ვ. ქუთათელაძე, რომელმაც სანდროს როლი კარგათ აასრულა და ზარაფის როლი კი არ შეეფერებოდა და გამოთქმაც არ უვარგოდა. იმერლის როლი ძრიელ კარგად აასრულა ქ. მესხმა, ისე შვენოდა ამ როლში, რომ სწორედ რომელიმე თავადის მოსამსახურე გეგონებოდათ.

ალ. ჭიჭინაძის ნათარგმნი, კომედია: „ფერი-ფერს—მადლი ღმერთს,“ პირველი პიესსავით კარგად ვერ აასრულეს. ამ პიესაში კარგათ თამაშობდნენ თავიანთ როლებს ქ. მესხი, ან. ნიკოლაძე, ქ-ნა ლიპა წულუკიძისა და ეკატერინე ქიკოლაძე.

ეს კეთილ მიზნიანი საქმე დაიწყეს და კარგათაც დაასრულეს ანნა და ეკ. ნიკოლაძის ქალებმა, რომელთაც მადლობას დიდს სწირავ ხონის მთელი საზოგადოება.

არკადი ბასტაძე.

---

# უცხოეთი

—

**წვრილი ამბები:** ჩინეთიდამ რუსულს გაზეთს გოლოსს სწერენ, სხვათა შორის შემდეგს:

„მხედრობის შეიარაღების საქმეს აქ ძალიან გულ მხურვალეთ ეკიდებიან; ტყვია-წამალს, თოფს და სხვა სამხედრო სამზადისს საშინელს ბევრს ყიდულობენ.

თუმც შესაძლებელია ჩინეთი და რუსეთი მორიგდენ ახალი ხელ-შეკრულობის საშუალებით, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ჩინეთი ან ისევ ჩვენ შეგვებმება ან და პორტუგალიას (მაკაოს გულისთვის) ჩინეთი ეხლა თვითონ ეჩხირება საომრად.“

—

ინგლისურს გაზეთს *„Daily Telegraph“*-ს ბერლინიდამ აცნობებენ, რომ საბერძნეთს სერბიის და ჩერნოგორიის შორის იდუმალ მოლაპარაკება არისო მოგერებით და ზედ დასხმითი კავშირის შეკვრის თაობაზედო.

—

„რეიტერის სააგენტოს“ სტამბოლიდამ სწერენ 22 ანუ ჩვენებურად 10 აგვისტოს რომ დღეს აქედამ ორი ხომალდი წავიდა ბათუმში [illegible] მოსლემანთ წამოსაყვანადო.

ეს ცნობა ტყუილია: ათს აგვისტოდამ დღეისამდე არც ერთი გემი მოსულა ოსმალოდამ ბათუმის ოლქის მცხოვრებელთა წასაყვანად და არც არავინ წასულა.

—

იმავე სააგენტოს აცნობებენ, რომ სერბიამ ასი ათასი მანეთის (100,000) ახალი სისტემის თოფები შეუკვეთაო ამერიკის მეფაბრიკეებსო.

---

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრ საათიდამვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს:** ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუჩარიანცი—ხირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმყ., დ. შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს:** ექ. მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი—თვალისა, ბაბოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბასიუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., ვერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

**ოთხშაბათს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, პომერანცოვი—გულის.

**ხუთშაბათს:** ჟურავლევი—ყელისა და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუჩარიანცი — ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** გავრონსკი — ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი — ხირურგიუ-

---

ება და სარგებლობა, მხოლოთ ვიტყვი—თუ რა საშვალობა შეიძლებოდა ეხმარა ჩვენს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ მოხევეებში შკოლების გასამართავად.

უველაზედ გასაჭირი სასოფლო შკოლებისთვის სახლის გამართვა და აშენება არის. სახლს უნდება დიდი ფულის ერთბაშათ მოგროვება და ღარიბი გლეხებისათვის-კი ეგ ისე ადვილათ მოსახდენი არ არის, როგორც სიტყვით ითქმის. უველა ჩვენი საქართველოს სოფლები ამ მხრით გაჭირებაში არიან; ხევი-კი განერჩევა იმათ, რადგანაც იქ იმყოფება სახელმწიფო და საეკკლესიო სახლები, რომლებიც აღარ ეჭირებათ იმის ამშენებლებს და ისე უპატრონოთ ყრია. მაგალითად სტეფან-წმიდაში ორი ეზოში არის, სამი ცალ-ცალკე სახლი ნაშენები ქვითკირით, დახურული ქესტით, პოლ-დაგებული, ფეჩებით და კარგის ფანჯრებით. ეს სახლები ეკუთვნის სასულიერო წოდებას, რომელმაც არ იცის რა უყოს და როგორ მოუაროს. მე მგონია, თუ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ თავსს შეიდებდა და სთხოვდა არქიერს, ის არ დაუჭერდა ამ სახლებს მოსწავლე ბავშვებს და ოსტატის სადგომათ. ამისთანავე სახლი ქობშიაც არის და შეიძლებოდა შკოლის გარდა იქვე გამართულიყო შემნახველ-გამსესხებელი საზოგადოება. მომეტებული არ იქნებოდა, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“, ერთი თავისი წევრთაგანი გაეგზავნა ამ ალაგებში, რომელსაც შესძლებოდა ხალხის სწავლება, თუ რა რიგად უნდა შედგეს სასოფლო კრების განაჩენი ამ გვარს შემთხვევებში და ეჩვენებინათ—თუ ვის უნდა წარედგინოს ამ გვარი განჩინებანი, რადგანაც ვისაც მოხევეები იცნობენ, ისინი არავითარს მონაწილეობას არ იღებენ. რომ ეს საქმე ადვილია, „წერა-კითხვის საზოგადოებისათვის“ და არც დიდი ფული დაჯდება, ეგ აშკარა არის, რადგანაც ისე წელიწადი არ გავა, რომ ვლადიკავკაზისკენ რამდენიმე იმის წევრმა არ გაიაროს და ის რომ ქობისა და უაზბეგს შუა ერთი კვირა შესდგეს ყოველისფერს მოასწრობდა და მოახერხებდა.

უველა ქართველი მოვალეა, რომ ყურადღება მიაქციონ იმათაც, ვინც მოძმენი არიან და ყველა თქვენგან შესაძლო შემწეობა ვიხმაროთ იქ შკოლების გასახსნელათ; იმ შკოლების გასახსნელად, რომელიც ასწავლის ხალხს, როგორ უნდა მოექცნენ თავის მტარვალებს და დღეს უსასყიდლო მუშები სხვა-და-სხვა მოიჯარადრე მმართველების ინტერესისათვის, ხვალ შეიქნენ თავისუფალი მუშები და შეიძლონ მოუმატონ ჩვენს საერთო ქვეყანას კეთილყოფლობა და ყოველის მხრით დახმარება.

ამ სიტყვებით უნდა გამოგესალმო, მკითხველო, რადგანაც ისეც საკმაოთ თავი მოგაძულე. მეც ვიცი, რომ ბევრი რამ დავაკელ და სრულად ვერ გადმოგეც სურათი მოხევე ხალხის ცხოვრებისა, მაგრამ რა ვუყო ან გაზეთის მდგომარეობას, რომელიც ნებას არ გვაძლევს ყოველის მხრით შევეხოთ საგანს და ან იმ მდგომარეობას, რომელმაც თევზს ათქმევინა: „ბევრი რამა მაქვს სათქმელიო, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო“.

ა. მოხსუბარიძე.

(დასასრული)

ლის, ლისიცევი—შიგნეულის, ბასუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების, ბაბოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

შ ა ბ ა თ ს: ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეისი—თვალის ბაბოევი—გულისა და შიგნეულების და გერმიშევი—შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბ ა ბ ა ე ვ ი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი)

დოქტორი ჟ უ რ ა ვ ლ ე ვ ი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ო ბ რ ე ს ტ ი ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპექტ., ზარაფოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბზეია ავათმყოფი ქალებისათვის.

# ·განცხადებანი

·ახლად გაღებული·

## ზ. ჩიჩინაძისაგან

ქართული წიგნის მაღაზია

იმყოფება, ალექსანდროვის ბაღთან რუსის საყდრის გვერდით, წოვიანოვის დუქნებში, № 2.

მსურველთ ამ ადრესით შეუძლიათ წიგნების დაბარება.

**Въ Тифлисъ. Въ книжный маг. Зах. Чичинадзе, Базарная улица д. № 2.**

(5—1)

## კანტორა

ოდესის ვაჭრის

## იაგ. ზალინოვის

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჭყიდულობს და ჭყიდის, კომმისიით ყოველ გვარ საქონელსა.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებელად.

წარმომადგენელია რუსის და საზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჭყიდის და ჭყიდულობს, აგრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.

სომეხის ნერსესის სემინარიის მზრუნველთ რჩევაში ამ მარიამობისთვის 27-სა საღამოზედ 7 საათზედ არის დანიშნული ტორგი (უპერეტორშკოთ) იჯარით მისაცემათ იმავე შკოლის მამული (შემოწირული მიცვალებული არუთინ ოქოევისაგან) რომელიც იპოვება რიყეზედ № 46. მსურველს შეუძლიან წაკითხვა პირობისა იმავე სემინარიის კანცელიარიაში ყოველ დღე, კვირისა და უქმ დღეების გარდა, დილის 10 საათიდან ვიდრე შუადღის 12 საათამდინ.

(3—3)

ვოდკის დეპო

ვლადიკავკაზის სავოდკე ქარხნისა

## შაუჩ

აცხადებს, რომ 15 ივლისიდამ ამ 1880 წლ. იყიდება საუკეთესოდ დაწმენდილი და გადაყენებული ვოდკები შემდეგი წოდების: სასადილო, ბრინჯისა და ბულმერინგის, თითო ბოთლი უბოთლოთ 45 კ. ბოთლიანათ 38, ნახევარ ბოთლისათვის 25 კ. უბოთლოთ 20 კ. სხვა ხარისხების საგანგებოდ დამზადებულნი ცალკე პრეისკურანტით იყიდება.

ერთად მყიდველებს ბევრს დაუკლებენ.

ეს ვოდკები საუკეთესო პურის არყიდამ ყოფილა დამზადებულნი საორთქლე დამწმედელით და თავიანთ თვისებით უკან არ ჩამოურჩებიან სატახტო ქალაქების ცნობილთ ფირმებს.

მივაქცევია ბ. ბ. მყიდველების ყურადღება წარდგენილს ნაწარმოებზე რომელთ ღირსებისთვის ქარხანა პასუხს აგებს.

ვოდკის დეპო იმყოფება მიხაილოვის ხიდზე ვორონცოვის ძეგლის პირდა-პირ ლიხოტინსკის სახლში.

(8—2)

სიღნაღის მაზრის მარშალი ამით მოიწვევს სიღნაღის მაზრის თავად აზნაურთა მობძანდნენ 31 აგვისტოს, კვირას, სოფ. ბაკურ-ციხეს, საკუთარ სახლში, თავად-აზნაურთ შვილების სწავლა-განათლების საშუალების აღმოსაჩენად.

(10—4)

## ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

| შეადარეთ ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. | მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ. |
| --- | --- |
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები ქაღალდი შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში, კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ხდის.

(100—13)

მივიღეთ დიდ-ძალი ჩაი პირ-და-პირ პლანტატორებისაგან—ინგლისის მაღაზიაში.

იქვე იყიდება წყურვილის ციტრატ-მაგნეზია, კარბოლის აბები და გადამდები სენის წინაალმდეგი წამალი.

(10—6)

სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარ სავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვამლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა

საკუთრივ

## სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

*NOUVEAUTÉS PARISIÉNNES'*-ის

ფ ი რ მ ი თ

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედეულობთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, ავეჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

ციტრატ - მაგნეზია — წყურვილის მოსასპობელად მოიკითხეთ ინგლისის მაღაზიაში.

(25—12)

მურაბა გემრიელი, კანფეტების ყუთი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

კარბოლის პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი [illegible] ფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისი მაღაზიაში.

(40—37)

ი ყ ი დ ე ბ ა

ახალი წიგნი

სამწერლო

## თაიგული

შ ი ნ ა ა რ ს ი:

I. ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა. III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა. IV მ... სადმე (ლექსი) გ—სა. V. ფერი ფერს— მადლი ღმერთს სამ მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან. VI ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფ. ერისთვისა. VII ხასიათის გავლენა, სამუელ სმაილსისა VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა. IX ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში. X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაუროვის მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზე და „არარატის“ წიგნის მაღაზიაში მიხაილოვის ხიდთან.

ქუთაისში პ. ფ. გერარდის წიგნის მაღაზიაში.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური, გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება ვართანოვის წიგნის მაღაზიაში

## ალექსი

ზღაპარი აკაკისა

ფასი თითო წიგნისა 20 კ.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ახლა 2 მაეთად ღირს.

(100—29)

Дозволено цензурою. Тифлисъ 21 Августа 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი